პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

3 იანვარი, კვირა, 1988 წ.
№ 2 (9663) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



დუგლას კავთელაშვილი.

წლის საუკეთესო ჟურნალისტი

ოქროს მედლებზე ვერტყლიანი თასში

მოგონებები... საყვედურის ფასად

რედაქციისგან დავალება მივიღე, ქუთაისის „მშენებელზე“ სასწრაფოდ მოამზადე მასალაო. იმ წუთში ამაზე იოლი არაფერი მეგონა. თითქმის ოცი წელიწადია ამ გუნდს ვიცნობ, სპორტულ ჟურნალისტიკაში ჩემი პირველი ნაცოდვილარი მას მივუძღვენი, რა ხანია მისი ჭირისა და ლხინის მოზიარე ვარ, სწორედ მან მაჩუქა ცხოვრებაში ყველაზე ერთგული მეგობრები, სიხარულითა და ბედნიერების აღსავსე დაუვიწყარი წუთები, მომატარა მთელი ქვეყანა, მაგრამ... რამდენჯერაც წერილის დაწყება დავაპირე, იმდენჯერ ისე ცხადად წამოიშალნენ მოგონებები, „მშენებლის“ ყველა თაობის იმდენი რეგბისტი დაუპატიჟებლად „მესტუმრა“, აღარც კი მახსოვს, რამდენჯერ დამათენდა, სანამ თუნდაც ერთ სტრიქონს დავწერდი.

— ქუთაისელმა რეგბისტებმა საკავშირო თასი და ოქროს მედლები დაისაკუთრეს. მაშ ერთი წერილი რა გახდა ან ასეთი სენტიმენტალობა რა საჭიროა? — იკითხავს ის, ვინც არ იცის, რა ფასად მოიპოვეს ეს გამარჯვება ბიჭებმა, რომლებსაც ჯერ შერეკილები და დამთხვეულები უწოდეს, მერე — ფანატიკოსები და „რეგბით სნეულნი“, შემდეგ — იმედის მომცემი და თავიანთი საქმის უსაზღვროდ მოყვარული ჭაბუკები, დღეს კი... დღეს ქუთაისელ რეგბისტთა მეორე და მესამე თაობა ქვეყნის ჩემპიონი და საკავშირო თასის მფლობელია.

...სამოციანი წლების მიწურულის ერთი წვიმიანი შემოდგომის საღამო მახსენდება.

— გელათის ზემოთ ამურ ფხაკაძემ უცნობი გვირაბი აღმოაჩინაო, — სალაშქროდ მიხმეს მეგობრებმა. კოკისპირულმა წვიმამ იმ საღამოს კარავში შეგვყუყა და ის-ის იყო მომავალი „დიდი აღმოჩენის“ მოლოდინში ოცნებამ წაგვიღო, რომ ტრანზისტორით მოსმენილმა ერთმა სენსაციურმა ცნობამ გამოგვაფხიზლა: საღღაც, ამაზონის ნაპირებთან, ვიღაცას ოქროს უშველებელი ზოდი ეპოვა.

იხ. მე.2 გვ

ადამაშვილმა ორჯერ დაამარცხა კოვში

როგორც ვიუწყებოდით, გასული სპორტული სეზონის ბოლო სტარტებმა რესპუბლიკის ველოსპორტის მოყვარულებს სიხარული მოუტანა. მოსკოვში, ოლიმპიურ ტრეკზე გაიმართა სპრინტერთა საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა უძლიერესმა ველოსიპედისტმა — საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებმა და წევრობის კანდიდატებმა.

ტრადიციისამებრ სპრინტერთა შეჯიბრებას წინ უძღოდა გიტი 200 მეტრზე სვლით, სადაც ფავორიტად ნაკრების პირველი ნომერი მოსკოველი ნიკოლოზ კოვში ითვლებოდა. მაგრამ ფავორიტმა ამჯერად მხოლოდ მეორე ადგილი დიკავა — 10,53. გამარჯვება კი 19 წლის თბილისის დინამოელმა ვლადიმერ ადამაშვილმა მოიპოვა — 10,43. მესამე ადგილი ასევე ჩვენი ქვეყნის ნაკრების კანდიდატს, რუსეთის ფედერაციის ; წარმომადგენელს მიხეილ სვიატცევს ხვდა — 10,78.

საფიქრებელი იყო, რომ კოვში სპრინტერთა შეჯიბრებაში რევანშის აღებას ეცდებოდა. მან მარილაც წინასწარ სერიებში ყველა მეტოქე დაამარცხა და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ფინალში მას ისევ ვლადიმერ ადამაშვილი დაუპირისპირდა, რომელიც სეზონის მიწურულს საკმაოდ სტაბილურ შედეგებს აჩვენებს.

რევანში არ შედგა. ადამაშვილმა ამჯერადაც დაჩაგრა კოვში და მოიგო სპრინტერთა ტურნირი. მესამე საპრიზო ადგილისთვის გამართულ ბრძოლაში მოსკოველმა ევგენი დოროფეევმა გაიმარჯვა. ქართველმა ველოსიპედისტმა პირველი ადგილი დაიკავა 500 მეტრზე გიტშიც.

ადამაშვილის გამარჯვება ძველი და ახალი სეზონების მიჯნაზე ნიშანდობლივია. 1988 წელი ოლიმპიურია და ნიჭიერი ქართველი სპრინტერის წარმატება გარკვეულ იმედებს გვისახავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრა ღვაწლმოსილ ფალავანთან

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში ხდირად ეწყობა შეხვედრები სასწავლებლის ყოფილ სტუდენტებთან — იმ სპორტსმენებთან, რომლებმაც საქვეყნოდ გაუთქვა სახელი ქართულ და საბჭოთა სპორტს.

ერთი ასეთი შეხვედრა, დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით, ინსტიტუტის თანამშრომლებმა და სტუდენტებმა ამ დღეებში გაუმართეს სპორტის დამსახურებულ ოსტატს, საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ვახტანგ ბალავაძეს, რომელიც მთელი ცხოვრება მხოლოდ ერთ საქმეს, სპორტს ემსახურება და ამჟამად „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობს.

შეხვედრაზე ხაზი გაუსვეს ვ. ბალავაძის წვლილს ჩვენი სპორტის განვითარების საქმეში, გულთბილად აღნიშნეს მისი, როგორც ღირსეული მოქალაქის თვისებები.

სსრ კავშირის სპორტსახკომში

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის 1987 წლის ბოლო სხდომაზე სხვადასხვა საკითხებთან ერთად განიხილეს საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტული მუშაობის უკეთ დაყენებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის საკითხი.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ 1987 წელს საქართველოში საინტერესოდ ჩატარდა მასობრივი ღონისძიებები „ჯანმრთელობის კვირეული“, „ცურვის კვირეული“, „ფეხბურთის დღე“, „მორბენლის დღე“, „მშდ-ს კვირეული“ და „ქართული ფეხბურთის დღე“. შეჯიბრებაში „მთელი ოჯახით სტარტზე“ მონაწილეობდა 30 ათასამდე ადამიანი. მთლიანად რესპუბლიკაში მცირდება დაავადებათა პროცენტი და დროებითი შრომისუუნარობით სამუშაო დროის დანაკარგები.

აღინიშნა ნაკლოვანებებიც: 1986 წელს 45,8 პროცენტით შემცირდა სპორტულ სექციებში, ჯგუფებში და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ კლუბებში მომეცადინეთა რიცხვი.

— რესპუბლიკის სპორტულმა ორგანიზაციებმა სოციალისტური შეჯიბრების უკეთ წარმართვისათვის უნდა დანერგონ მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები, გარდაქმნან საქმიანობა ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სამეურნეო ანგარიშზე და თვითდაფინანსებაზე გადაყვანის გათვალისწინებით — ნათქვამია დადგენილებაში.

როგორც ყოველთვის, მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების დღეებში, რესპუბლიკის კულტურისა და დასვენების კერებში კვლავ აკიაფდა საახალწლო ნაძვის ხე. ნორჩებს ყველგან ხალისიანი, საინტერესო სანახაობები ელით.

ტრადიციას არც თბილისის სპორტის სასახლემ უღალატა. საახალწლო ნაძვის ხესთან ყოველდღიურად იკრიბებიან პატარები. სადღესასწაულო ზეიმი სპორტის სასახლეში 10 იანვრამდე გაგრძელდება.

ერთი გუნდის შვიდი პრიზიორი

მართლაც რომ იმედისმომცემი გამოდგა ჩვენი ნორჩი „კლასიკოსების“ გამოსვლა ტრადიციულ საკავშირო შეჯიბრებაში „ოლიმპიური იმედი“, რომელსაც ამჯერად რიგამ უმასპინძლა. საქართველოს გუნდის 7 წევრი ასპარეზობის პრიზიორი გახდა. პირველი ადგილები დაიკავეს: მარტყოფელმა დავით მჭედლიშვილმა (56 კგ), თბილისელებმა რევაზ კალანდაძემ (64) და გოჩა ციციშვილმა (69), მეორე — იმედა ფრეწონაშვილმა (მარტყოფი, 42 კგ) და თბილისელმა ალი მურადხანოვმა (60). კიდევ ორი მარტყოფელი სპორტსმენი გელა ბეჟანიშვილი (36) და შალვა ჯერენაშვილი (69) პრიზიორთა შორის მოხვდა. ჩვენი გუნდი განათლების სამინისტროს სპორტსმენებით, კერძოდ თბილისელი და მარტყოფელი მოჭიდავეებით იყო დაკომპლექტებული (მწვრთნელები ოთარ ტატიშვილი და გოდერძი ჯოხაძე).



გასულმა წელმა კიდევ ერთი სპორტული სიახლე შემოგვთავაზა — ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში, 101-ე საშუალო სკოლაში, გაიხსნა ფარიკაობის სპეციალიზებული კლასი. „შეგირდთა“ მზადებას ენთუზიასტ მწვრთნელებთან ნოდარ დიდიასა და სვეტლანა სვანიძესთან ერთად ხელმძღვანელობს ფარიკაობის ცნობილი სპეციალისტი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ტრიფონ მესხი.

მასალას შემოგთავაზებთ „ლელოს“ უახლოეს ნომერში.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

ახალი რეიტინგები

მსოფლიო ჩემპიონები მაია ჩიბურდანიძე და გარი კასპაროვი კვლავ სათავეში უდგანან პლანეტის უძლიერეს მოჭადრაკეთა სიას. პროფესორ ელოს სისტემის მიხედვით 1988 წლის 1 იანვრისათვის მაია ჩიბურდანიძის რეიტინგი 2560-ს შეადგენს, გარი კასპაროვისა—2750-ს. ქალთა სიის პირველი ხუთეული ასეთი თანამიმდევრობითაა წარმოდგენილი: ჩიბურდანიძე, ნონა გაფრინდაშვილი — 2485, ჟუჟა პოლგარი (უნგრეთი) — 2475, ნანა იოსელიანი — 2455, პია კრამლინგი (შვეცია) — 2435.

ვაჟთა პირველი ოთხეული ასე გამოიყურება: კასპაროვი, ანატოლი კარპოვი — 2715, იან ტიმანი (ჰოლანდია) — 2675, ალექსანდრე ბელიავსკი — 2645.

ზედმეტი ფორმალობის გარეშე

უცხოეთში მოგზაურობის მოყვარულებს სახიამოვნო სიახლე მოუტანა ახალმა წელმა. ამიერიდან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში, გდრ-ში, ჩეხოსლოვაკიაში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ტურისტად გამგზავრების მსურველებს შეუძლიათ მიაკითხონ „ინტურისტს“ და ყოველგვარი ზედმეტი ფორმალობის გარეშე აიხრულონ საწადელი.

ახლა საჭირო აღარ არის აღარავითარი. დახასიათება და სხვადასხვა ინსტანციებში მათი დამოწმება. ივსება მხოლოდ მცირე ავტობიოგრაფიული ხასიათის ანკეტა, რომელსაც ექიმი და უშუალოდ წარმოების ხელმძღვანელი აწერს ხელს.

ოქროს მედლები ვერცხლის თასში

დასასრული

ვნაწყლიანმა დურო წითურმა შემთხვევით ისარგებლა და „დავალება“ მოგვცა — გაგვემხილა, ვინ რას გავაკეთებდით, ერთი კუბური მეტრი (არც მეტი, არც ნაკლები) ოქროს ზოდი რომ გვეპოვა.

— მე იმ ოქროს ჩვენი ალპინისტების ექსპედიციის აღმურვას მოვახმარებდი, მერე ევერესტსა და ყველა რვაათასიან მწვერვალს დავლაშქრავდით. რას გავახარებდი ბიჭებს! — უმალ ირწმუნა თავისი ყოვლისშემძლეობა მთამსვლელმა მურად ჯიჯინაძემ.

— მე ქუთაისში ყველაზე ლამაზ სპორტის სასახლეს ავაშენებდი, რიონის სამკაულს, თეთრ ქვებს გავწმენდ-გავაკრიალებდი, სულ თეთრად გავაბრწყინებდი ჩემს ქალაქს, — ინტრა არქიტექტორმა ამურ ფხაკაძემ.

ვინ თამარ მეფის საფლავისა და „ვეფხისტყაოსნის“ დედნის საძებრად „გაეშურა“, ვინ ბაგრატის ტაძარი აღადგინა, ვინ მარტოდმარტომ გადალახა ზღვები და ოკეანეები. კოსმოსშიც დავაპირეთ ქართველი კაცის გაგზავნა — ეგებ, მარსზე მაინც არ დავაგვიანოთ, როცა იქ მიწებს გაანაწილებენო.

კოსმოსიდან მხოლოდ შაო ქურციკიძის სევდიანმა მონოლოგმა დაგვაბრუნა: ოქროს ზოდი კი არა, ნეტავ, ერთი პატარა სპორტსაზოგადოების კეთილი ხელმძღვანელის დახმარება „გვაპოვნინა“ რეგბისტებს. ისე, მაგ ზოდით ერთ-ორ რეგბის სტადიონსა და კარგ ბაზას ავაშენებდი, ავტობუსს და ფორმას შევიძენდი, მერე ბიჭებს მთელ დუნიას შემოვატარებდი, ყველას ვანახვებდი, რა შეგვიძლია და აღარავის დასაცინი არ ვიქნებოდით. ვიცი მე ჩვენი ბიჭების ამბავი, მაგ ზოდს ოქროს მედლებად ვაქცევდითო...

კოსმოსზე არ გვიცინია ისე გულიანად, როგორც ჩვენი „შერეკილების“ ჩემპიონობაზე ვიხითხითეთ.

ევერესტზე ასვლა არ ეღირსა უშბის კალთებზე მეგობრებთან ერთად დაღუპულ მურადს; პროექტი კი მოამზადა, მაგრამ ზოდი ვერ იპოვა ამურმა; იალქნიანი ნავის კაპიტნობა არ აღირსეს დუროს, ცუდი მხედველობის გამო არც მე გამიშვეს კოსმოსში.

ჩვენმა რეგბისტებმა კი მიაგნეს ოქროს საბადოს. 21 ოქროს მედალი კიაფობს დღეს რიონისპირელი ბიჭების მკერდზე.

ძველი ოცნების გახსენება კიდევ დიდხანს შემიყოლიებდა, ტელეფონის ზარის წკრიალს რომ არ გამოვეფხიზლებინე.

— როგორ არის საქმე, მასალის გამოგზავნას რატომ აგვიანებ? „მშენებელზე“ წერილს თუ დროზე არ ჩაგვაბარებ, საყვედური არ აგცდება, — შემომითვალეს თანამშრომლებმა. აი, ასე ძვირად დამიჯდა ის მოგონებები, რომლებსაც, ალბათ, მთელი სიცოცხლე ვერ შეველევი.

ის ოცი წელი

დარწმუნებული ვარ, ისინი, ვინც მონინოში რეგბისტთა შარშანდელი საკავშირო ჩემპიონატის კულმინაციას, სუპერ-ფინალის განმეორებით შეხვედრას დაესწრო, არასოდეს დაივიწყებენ ამ საოცარ სურათს: ოცდაათი დაღლილ-დაქანცული ქართველი ვაჟკაცი სიხარულით ამ ქვეყანას აღარ იყო, ვინც ვის მოიხელთებდა, იმას ჩაიკრავდა გულში და... ყველა ცრემლებად იღვრებოდა. ერთი სიტყვით, ჩვენი რეგბისტები და მათი გულშემატკივრები ქართული რეგბის დიდ გამარჯვებას ზეიმობდნენ. ვინ იცის, რამდენ ხანს ვმალეთ გულში ეს ოცნება, ზოგჯერ საკუთარ თავსაც ვერ ვუმხელდით ნატვრას და როცა ოცნება სინამდვილედ იქცა...

...სწორედ მაშინ კინოკადრებივით გაირბინა თვალწინ იმ ოცმა წელმა, რომელმაც ბევრი გამარჯვების სიხარული თუ დამარცხების სიმწარე აგემა რეგბიზე უსაზღვროდ შეყვარებულ რიონისპირელ ბიჭებს.

ოცი წელი ცოტა არ არის, მაგრამ არც ისე ბევრია, თვალი რომ ვერ გავადევნოთ.

ყველაფერი 1966 წლის შემოდგომაზე დაიწყო. თბილისელი რეგბისტი გოგი ყუფარაძე ქუთაისში ჩამოვიდა, ბიჭები შეკრიბა და... მას შემდეგ ეს თამაში მრავალი ქუთაისელი ჭაბუკის სამუდამო გატაცებად იქცა. ბიჭებს ბევრი დაბრკოლება გადაეღობათ წინ. ქუთაისში მაშინ ნაკლებად იცნობდნენ სპორტის ამ ვაჟკაცურ, ბევრ ქვეყანაში ყველაზე პოპულარულ სახეობას. იყო გაუგებრობა, სიძნელეები (მარტო ამ ნესვისმაგვარი ბურთის გამოჩენამ რამდენი ახალი ანეკდოტი დაბადა ქალაქში). სხვებს იქნებ ხელი ჩაექნიათ და სიახლე ჩანასახშივე ჩამკვდარიყო, მაგრამ ენთუზიასტები რის ენთუზიასტები ვრიან თუ... ერთგულებამ პირველ მერცხლებს ყველა წინააღმდეგობა გადაალახვინა და ამიტომ არის, რომ დღეს, ასე ბედნიერად და ვალმოხდილად გრძნობენ თავს.

ვინც ახლოს იცნობდა რეგბით „დაავადებულ“ ამ ბიჭებს, არ შეიძლება არ მოხიბლულიყო მათი სამაგალითო მონდომებით — ვარჯიში დარში თუ ავდარში, სტადიონსა თუ ტრიალ მინდორზე, ჭაკური რეჟიმი და, რაც მთავარია, რწმენა, მომავლის მტკიცე რწმენა...

მალე ქუთაისელ რეგბისტებს საქალაქო სპორტკომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე ლევან ახვლედიანი წამოეშველა. პირველმა შედეგებმა არ დააყოვნა. 1969 წელს საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს და მერეც რამდენჯერმე გაიმეორეს ეს წარმატება.

აღმავლობა კი მაშინ დაიწყო, როცა 1975 წელს სახლმშენებელი კომბინატის ხელმძღვანელობამ (მაშინ კოლექტივს რ. ბეჟუაშვილი თავკაცობდა) ქუთაისელ რეგბისტთა გუნდის შეფობა იკისრა.

შეფების მზრუნველი ხელი გუნდს მალე დაეტყო. წარმატებას წარმატება მოსდევდა — ჯერ ფეოდოსიაში, შემდეგ ლვოვში გამართულ საკავშირო ტურნირებში გაიმარჯვეს, სპეციალისტებიც აალაპარაკეს — პერსპექტიული, კარგი მომავლის გუნდიაო, ამბობდნენ ისინი და არც შემცდარან.



1977 წელი. ქუთაისელმა რეგბისტებმა ორ ძნელ მატჩში დაამარცხეს ციმბირის მეტალურგიული ინსტიტუტის გუნდი და პირველ ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვეს... აქ ცოტა „შეისვენეს“ და 1979 წლიდან უკვე უმაღლესი ლიგის ბინადარნი არიან. ორი წელიც და მტკიცედ მოიკიდეს ფეხი უძლიერესთა ექვსეულში.

ეს იყო შალვა ქურციკიძისა და დუგლას კავთელაშვილის ერთობლივი მუშაობის წლები.

შემდეგ გუნდს შალვა ქურციკიძე ჩაუდგა სათავეში (კავთელაშვილი „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდის უფროსად დაინიშნა).

„სახლმშენმა“ და მისმა ახალგაზრდა მწვრთნელმა შეუძლებელი შეძლეს — 1984 წელს ვერცხლის, ხოლო 1985 წელს ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ქუთათურთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ გუნდის ერთგულ ქომაგებს სჯეროდათ, რომ მიღწეული ზღვარი არ იყო. მოდიოდა ქუთაისელ რეგბისტთა ახალი თაობა, რომელმაც რამაზ სვანიძის ხელმძღვანელობით იმ დროს საკავშირო ჩემპიონატებში ზედიზედ ორჯერ მოიპოვა ოქროს მედლები. დიახ, მოდიოდა თაობა, რომელსაც ვეტერანებთან ერთად უნდა დაეპყრა ახალი სიმაღლეები...

1986 წელს გუნდში დუგლას კავთელაშვილი დაბრუნდა.

„მშენებლის“ ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ მაშინ ჩაიბარა გუნდი, როცა მისი უძლიერესთა შორის მოხვედრა ერთობ საეჭვო იყო, მაგრამ კოლექტივმა შეძლო ძალის მობილიზება, თავი დააღწია სახიფათო ზონას და ეს ახალი უფროსი მწვრთნელის პირველი წარმატება გახლდათ. მან მომავალ სეზონზე ზრუნვაც დროულად დაიწყო — ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე პერსპექტიული დებიუტანტი გამოჩნდა. ერთი სიტყვით, იმედი ისევ ჩაისახა და 1987 წლის სეზონის წინ უფროსმა მწვრთნელმა „ლელოს“ ფურცლებზე განაცხადა:

— წელს ჩემპიონატშიც და თასის გათამაშებაშიც ძალების სრული მობილიზებით ვიბრძოლებთ. ჩვენი მიზანი არასდროს ყოფილა და არც იქნება მხოლოდ უძლიერესთა შორის ყოფნა, ვეცდებით თვალსაჩინო წარმატებას მივაღწიოთ. ამის გარანტიას გუნდის დღევანდელი შემადგენლობა, თითოეული რეგბისტის, ვეტერანის თუ ახალგაზრდის, საბრძოლო განწყობილება იძლევა...

35 მატჩი და ორი სიმაღლე

შარშან, 22 მარტს საკავშირო ჩემპიონატი დაიწყო, დაიწყო მარცხიანად — „მშენებელმა“ პირველივე შეხვედრა საკუთარ მოედანზე წაგო საბჭოთა რეგბის აღიარებულ ლიდერთან, სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდთან — 9:14. დამარცხებამ ბიჭები ვერ შეაცბუნა, პირველობისათვის ბრძოლაზე ხელი ვერ აიღებინა, მაგრამ მაშინ ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, თუ შარშანდელი სეზონი, ფაქტობრივად, „მშენებლისა“ და სსა-ს რეგბისტთა ახალი თაობა, რომელმაც რამაზ სვანიძის ხელმძღვანელობით იმ დროს საკავშირო ჩემპიონატებში ზედიზედ ორჯერ მოიპოვა ოქროს მედლები. დიახ, მოდიოდა თაობა, რომელსაც ვეტერანებთან ერთად უნდა დაეპყრა ახალი სიმაღლეები...

1986 წელს გუნდში დუგლას კავთელაშვილი დაბრუნდა.

„მშენებლის“ ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ მაშინ ჩაიბარა გუნდი, როცა მისი უძლიერესთა შორის მოხვედრა ერთობ საეჭვო იყო, მაგრამ კოლექტივმა შეძლო ძალის მობილიზება, თავი დააღწია სახიფათო ზონას და ეს ახალი უფროსი მწვრთნელის პირველი წარმატება გახლდათ. მან მომავალ სეზონზე ზრუნვაც დროულად დაიწყო — ძირითად შემადგენლობაში რამდენიმე პერსპექტიული დებიუტანტი გამოჩნდა. ერთი სიტყვით, იმედი ისევ ჩაისახა და 1987 წლის სეზონის წინ უფროსმა მწვრთნელმა „ლელოს“ ფურცლებზე განაცხადა:

— წელს ჩემპიონატშიც და თასის გათამაშებაშიც ძალების სრული მობილიზებით ვიბრძოლებთ. ჩვენი მიზანი არასდროს ყოფილა და არც იქნება მხოლოდ უძლიერესთა შორის ყოფნა, ვეცდებით თვალსაჩინო წარმატებას მივაღწიოთ. ამის გარანტიას გუნდის დღევანდელი შემადგენლობა, თითოეული რეგბისტის, ვეტერანის თუ ახალგაზრდის, საბრძოლო განწყობილება იძლევა...

ჩემპიონატის ორივე წრეში მონინოელებმა აჯობეს ქუთაისელებს, რაც მათ ფსიქოლოგიურ უპირატესობას ანიჭებდა, მაგრამ 15 ათასზე მეტი გულშემატკივრის მხარდაჭერით (ეს სარეკორდო რიცხვია საბჭოთა რეგბისთვის) ფრთაშესხმული ქუთაისელი რეგბისტების ძლევა იმ დღეს შეუძლებელი იყო. 12:3 — ამ ანგარიშით გაიმარჯვა „მშენებელმა“, რომელმაც პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის თასი.

მიილია საზეიმო დღეები და ყველამ იმაზე დაიწყო ფიქრი, რას უქადდა თასის მფლობელ გუნდს საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი. პერსპექტივა არცთუ სახარბიელო ჩანდა: სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს ძაგნიძე და გაბრიჩიძე, დაშავებულნი იყვნენ გუნდის ლიდერი ლიპარტელიანი, წივწივაძე, შვანგირაძე... მაგრამ სწორედ ამ რთულ პერიოდში გამოვლინდა კოლექტივის ძალა და ბიჭების ერთსულოვნება. კრასნოიარსკში ეტს-სთან შეხვედრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი გუნდისთვის, ამ მატჩს უნდა გადაეწყვიტა, ითამაშებდა თუ არა „მშენებელი“ მთავარ ფინალში. ციმბირელები, მოგეხსენებათ, იშვიათად აგებენ შინ, თანაც „მშენებელი“ კრასნოიარსკში თამაშის დაწყებამდე... ერთი საათით ადრე ჩაფრინდა (უამინდობის გამო ჩვენი რეგბისტები ჯერ აბაკანში ჩაფრინდნენ, სადაც 6 საათს უცდიდნენ კრასნოიარსკის რეისს). ქუთაისელებმა ფორმები ავტობუსში გადაიცვეს, მწვრთნელს დარიგების დრო აღარ ჰქონდა, მხოლოდ ეს გასძახა ბიჭებს: გახსოვდეთ, საქართველოში მხოლოდ გამარჯვებას ელიან ჩვენგანო. ბიჭებს ხმა არ ამოუღიათ, ერთი გამოხედეს და კოკისპირული წვიმისგან ატალახებულ მინდორს მიაშურეს.

ახლა ძნელია იმ მართლაც უშეღავათო ორთაბრძოლის აღწერა... 6:4 — გაიმარჯვა „მშენებელმა“ და სუპერფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

მართალია, სსა-მ და „მშენებელმა“ ქულათა თანაბარი რაოდენობა მოაგროვეს და გათამაშების ცხრილში პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს, მაგრამ პირად შეხვედრებში უკეთესი შედეგის გამო უპირატესობა მონინოელებს მიენიჭათ. ამიტომ პირველი მატჩი ქუთაისში ჩატარდა. იმ დღეს მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო. მათ დამაჯერებლად, მშრალი ანგარიშით (10:0) დაამარცხეს შეტოქე. ოქროს მედლებამდე ერთი ნაბიჯი რჩებოდა. მონინოელთა დამარცხება მათსავე მოედანზე თანაც ასეთ პრინციპულ მატჩში, ნებისმიერი გუნდისთვის უძნელესი საქმეა. ქუთაისელებმა მართლაც შეუძლებელი შეძლეს. ახლა დაწვრილებით აღარ შევჩერდებით ამ უკვე ისტორიულ მატჩზე, რომელმაც ახალი, საქვეყნო აღიარება მოუტანა ქართულ რეგბის. დიახ, „მშენებელმა“ თავის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან მატჩში გაიმარჯვა ანგარიშით 13:7 და ჩვენი რესპუბლიკის რეგბისტთა გუნდებიდან პირველმა მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული.

....გუნდის უფროსი მწვრთნელი „ცაში აისროლეს“ გამარჯვებულმა მოთამაშეებმა, მათ, ვინც ამ მატჩში იცავდა „მშენებლის“ ღირსებას: ბათლომე ხამაშურიძემ, ოლეგ ლიპარტელიანმა, ავთანდილ გიორგაძემ, ნიკოლოზ ნემსიწვერიძემ, მიხეილ ხარშილაძემ, ოლეგ ჟორჟოლიანმა, კახა შაჩიტიძემ, მამუკა ლოსაბერიძემ, ავთანდილ დეისაძემ, რობერტ ობოლაძემ, თენგიზ ტურძელაძემ, გრიგოლ გაბუნიამ, ბესარიონ ლილუაშვილმა, თამაზ ფხაკაძემ, გუნდის უფროსმა ალიოშა ალავიძემ, ადმინისტრატორმა ანზორ ალხაზიშვილმა, მასაჟისტმა თემურ მინდიაშვილმა. ამ სახარულს იზიარებენ ეს რეგბისტებიც, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით გამოვერ ჩავიდნენ მონინოში: ნუგზარ ძაგნიძე, კახა გაბრიჩიძე, კაი წივწივაძე, ხუხა თბილიძე და ახალგაზრდა სპორტსმენები, ჯერ მხოლოდ რამდენიმე მატჩში რომ დაიცვეს შშობლიური გუნდის ღირსება.

ამ გამარჯვებას სჭედდნენ არა მარტო ის ქუთაისელი რეგბისტები და მათი მწვრთნელები, რომლებიც ოცი წელი ჭიუტად მიიწევდნენ „ოლიმპოსკენ“, არამედ ის ქართველი რეგბისტებიც, პირველი დიდანვე რომ უერთგულეს ამ სახეობას და, რაც შეეძლოთ, ყველაფერი გაიღეს მის დასამკვიდრებლად.

სიტყვის კაცი

შემდეგ იყო დაუვიწყარი შეხვედრა თბილისში, საზეიმო საღამო ქუთაისში.

...ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე გულშემატკივართა კლუბმა მწვრალთა სახლში გულთბილი შეხვედრა მოუწყო „მშენებლის“ მოთამაშეებს. გულშემატკივართა შეტევას ვეღარ გაუძლო გუნდის უფროსმა მწვრთნელმა დუგლას კავთელაშვილმა და „სიიდუმლო გაამხილა“ — წელს, ალბათ, თასის მოსაპოვებლად ვიბრძოლებთო. დარბაზში შეკრებილმა გუნდის ქომაგებმა უმალ ირწმუნეს მწვრთნელის სიტყვები და...

— ქენი ბარემ სკკეთე და მაგ ვერცხლის თასში ოქროს მედლებიც ჩაყარეო — ისე, ალალად სთხოვა ერთმა ჭარმაგმა ქუთაისელმა კავთელაშვილს, თითქოს თასის მოპოვება ერთი კვირის წინ ეზეიმოთ ქუთათურებს.

— ბატონო ჩემო, ჯერ თასი სად არის, რომ ოქროს მედლებზეც ვიფიქროთ? რომ იცოდეთ, რამდენი რამ გვაქვს ჯერ საფიქრალი, — შეწუხდა დუგლასი.

ის ოპტიმისტი გულშემატკივარი მანამდე არ მოუშვა უფროს მწვრთნელს, სანამ პირობა არ „დასტყუა“: კი ბატონო, ვეცდებითო. უნდა გენახათ, როგორ გაახარა ამ სიტყვებმა „მშენებლის“ კეთილი ქომაგი:

— სწორედ ეს შინდოდა გეთქვა. შენ ჯერ სიტყვა არ გაგიტეხია და, რაღა ახლა შემარცხვენ ამ მოხუცებულ კაცს. ისიც მეყოფა, სიბერეში რომ გადამრიეთ თქვენი რეგბითო.

მართლაც სიტყვის კაცია დუგლას კავთელაშვილი და არც ამჯერად შეურცხვენია თავი. როცა რეგბის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის გმირმა ვ. ილიუშინმა გულშემატკივრების ტაშის გრიალში გუნდის ხელმძღვანელებს „მშენებლის“ „კუთვნილი“ ოქროს მედლები გადასცა, კავთელაშვილი წამით ჩაფიქრდა, ეტყობა, ის დანაპირები გაახსენდა და... მარცხენა ხელით ვერცხლისფრად მოელვარე თასი ასწია, მეორე ხელით კი შიგ მედლები ჩაყარა — ოცდაერთი ოქროს მედალი!

ბევრი კეთილი სიტყვის თქმა შეიძლება დუგლას კავთელაშვილზე. მერწმუნეთ, ეს „სანარკვევო“ კაცი ცალკე საუბრის თემაა, ამიტომ, თქვენი ყურადღებით ბოროტად რომ არ ვისარგებლო, მოკლედ მოვჭრი.

იგი გვიან, 23 წლის ასაკში მოვიდა რეგბიში და შეძლო ის, რასაც მთელი თაობა თუ შეეჭიდებოდა. უპირველეს ყოვლისა, ვაჟკაცური თამაშით კიდევ უფრო პოპულარული გახადა რეგბი ქუთაისში. მან ჩაუნერგა ოპტიმიზმი გულშემატკივრებს, თანაგუნდელები დაარწმუნა იმაში, თუ მოინდომებ, თავს არ დაზოგავ, მოედანზე ქართულ ცეცხლს დაანთებ, ნებისმიერი მეტოქის დამარცხებას შეძლებ. არასოდეს დამავიწყდება მისი თამაში ნოვოკუზნეცკში. რა შემართებით, რა ენერგიით მიუძღვოდა წინ თანაგუნდელებს, რამდენი ქულა მოუტანა გუნდს იმ პრინციპულ მატჩში, რომელმაც ქუთაისელ რეგბისტებს საკავშირო სარბიელისკენ გაუკაფა გზა. მაშინ იგი ბრძოლის ველზე გასულ მთავარსარდალს ჰგავდა და ასეთად დარჩა დღესაც. 1987 წელს მისი ხელმძღვანელობით ქუთაისის რეგბისტთა გუნდმა ჭეშმარიტად დიდი გამარჯვება მოიპოვა, სპორტის სათამაშო სახეობებში წარმატებას მონატრებული ქართველი გულშემატკივრები გაახარა და ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ მატიანეში ახალი სასახელო ფურცელი ჩაწერა.

თამაზ ხარაბაძე.

„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი.

ქუთაისი.

პარალელური ინტერვიუ

პასუხობენ მაია ჩიბურდანიძე და ბორის სპასკი

ცნობილმა ოუგოსლავიელმა ჟურნალისტმა და მოჭადრაკემ დიმიტრიე ბელიცამ კასპაროვ-კარპოვის მატჩის დროს მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძესა და მსოფლიოს ექსჩემპიონ ბორის სპასკის ინტერვიუ ჩამოართვა. დიდოსტატებმა ერთსა და იმავე კითხვებს უპასუხეს:

● **მართალია თუ არა, რომ თქვენი საჭადრაკო კერპი გარი კასპაროვია? ასე წერია მსოფლიო პირველობის მატჩისადმი მიძღვნილ ბიულეტენში.**

მ. ჩ. — არა, იქ არასწორად წერია. საქმე ის არის, რომ მე საერთოდ არა მყავს საჭადრაკო კერპი. თუ შემეკითხებით, ვის პარტიებს ვარჩევ სხვებზე უფრო მეტად, ალექსანდრე ალიოხინს დაგისახელებდით.

ბ. ს. — დიახ, ჩემთვისაც ყველაზე უფრო ძვირფასი ალიოხინის პარტიებია. ისე კი, ორი საჭადრაკო კერპი მყავს: ალიოხინი და ლასკერი.

● **ბევრი ექსპერტი მოელის, რომ სამი წლის შემდეგაც იგივე მეტოქეები შეხვდებიან ერთმანეთს მსოფლიო პირველობაზე.**

მ. ჩ. — მე ამაში საერთოდ არა ვარ დარწმუნებული. ამ მატჩში დამარცხებული ვეღარ მოახერხებს მსოფლიო პირველობაზე მომდევნო მატჩის თამაშს. საქმე ისაა, რომ ახლა მსოფლიოში რამდენიმე შესანიშნავი ახალგაზრდა დიდოსტატია, რომლებსაც სულ უკეთესი და უკეთესი შედეგები აქვთ.

ბ. ს. — მე მგონია, რომ კასპაროვი და კარპოვი მეხუთედაც შეხვდებიან ერთმანეთს. საქმე ის არის, რომ მათ დღეისათვის ღირსეული მეტოქე არა ჰყავთ.

● **ბევრი დაიწერა იმის შესახებ, რომ ბილბაოს საერთაშორისო ტურნირში მაია ჩიბურდანიძემ და უუჟა პოლგარმა ლიუბომირ ლიუბოევიჩი დაამარცხეს. რას იტყვით ამის შესახებ?**

მ. ჩ. — რაც შეეხება ჩემს მოგებას, მას სრულიად შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. აი, ლიუბოევიჩი რომ სამჯერ დავამარცხო, ეს უკვე შემთხვევითობა აღარ იქნება. სხვათა შორის, უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან მინდა ვითამაშო ლინარესის (ესპანეთი) სუპერტურნირში, სადაც კარპოვი, ლიუბოევიჩი და კიდევ 10 დიდოსტატი მიიღებს მონაწილეობას. ტურნირი მეთხუთმეტე კატეგორიისა იქნება. იმედი მაქვს, რომ აქ თამაშზე უარს განაცხადებს არტურ იუსუპოვი (მას ხომ პრეტენდენტების მატჩებში მოელის მონაწილეობა) და მის მაგივრად მე დამიშვებენ.

ბ. ს. — ლიუბოევიჩის დამარცხებას ორ მოჭადრაკე ქალთან ფსიქოლოგიური მიზეზები ჰქონდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ვალდებულია მოუგოს ქალებს და რისკის ზღვარს გადააბიჯა.

● **როგორია თქვენი შემდგომი გეგმები?**

მ. ჩ. — როგორც მოგახსენეთ, ძალიან მინდა ვითამაშო ლინარესში, თუმცა ეს საკითხი ჯერ არ არის გადაწყვეტილი.

ბ. ს. — კონკრეტული მიწვევა რომელიმე ტურნირში ჯერჯერობით არა მაქვს. ამას წინათ შვიდი დღე დავყავი ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ერთდროული თამაშის სეანსები გავმართე და ლექციები წავიკითხე. შეეხვდი რობერტ ფიშერს, მაგრამ ამის შესახებ ახლა საუბარი არ მინდა.

პროფკავშირულ ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რაიონულ და საქალაქო კონფერენციებზე

ჭიათურა

პროფკავშირების ნებაყოფლობით ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საქალაქო საბჭოს კონფერენციაზე აღინიშნა, რომ 1987 წელს ქალაქში გაუმჯობესდა ფიზკულტურასა და სპორტში მშრომელთა და მოსახლეობის ფართო ფენების მეცადინეობის პირობები. ახლა დღის წესრიგში დგას სპორტული ბაზების უფრო ეფექტიანად, სრული დატვირთვით გამოყენება. არის სიახლე — ქალაქში გაიხსნა ალპინისტური კლუბი.

კონფერენციაზე ხაზი გაუსვეს, რომ მშენებარე მიკრორაიონებში არ არის გათვალისწინებული... სპორტული მოედნები. სუსტად მუშაობენ „საქმაბტმრეწმენის“, მშენებლების ტრესტი, სამკერვალო ფაბრიკის ფიზკულტურული კოლექტივები. დახურული აუზი მუშაობს ხარვეზებით, ღია აუზი კი საერთოდ უმოქმედოდაა.

საზოგადოების საქალაქო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ნ. იობაშვილი.

ხაშური

რაიონულ კონფერენციაზე ითქვა, რომ ბოლო ხანებში რაიონში სპორტის ეროვნულ სახეობებს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა — ტარდება ზეიმები სოფლად. დასახელეს ენთუზიასტები. მოწინავე ფიზკულტურულ კოლექტივებთან განსაკუთრებით შეაქეს ქვიშხეთის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ს. ბუღაძე). დელეგატებმა საყვედური გამოთქვეს სოფლად მომუშავე ფიზკულტურის შეთოდისტების შრომის დაბალი ანაზღაურების გამო. ითქვა, რომ რაიონში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია ფიზკულტურულ და სპორტმასობრივ ღონისძიებებში ქალთა მონაწილეობა.

საზოგადოების რაისაბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ს. ლომიძე.

სირბილით ახალი წლის შესახვედრად

პოპულარულ საახალწლო გარბენს „კორიდა სან სოლვესტრეს“, რომელიც ბრაზილიის ქალაქ სანპაულუში ეწყობა, მსოფლიოს სხვა კუთხეებშიც გამოუჩნდნენ „თანამოძმეები“. 20-წლიან ისტორიას ითვლის ვილნიუსის საახალწლო შეჯიბრება 11-კილომეტრიან დისტანციაზე, რომლის ჩატარების პირველი ინიციატორები იყვნენ „ქალგრინისის“ სპორტნაგებობათა საშმართველოს დირექტორი ალგის გედმინასი და მისი მეუღლე იონას გრიგასი — წარსულში ცნობილი სტაიერები. მაშინ, პირველ სტარტზე, სულ 70 მონაწილე გამოვიდა.

წლევანდელ გარბენში კი, რომელმაც სტარტი გასულ 1987 წელს აიღო, 2000 მორბენალი (!) მონაწილეობდა, მათ შორის სტუმრები ბელორუსიიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან... ვაჟთა შორის გაიმარჯვა ქვეყნის ექსჩემპიონმა, ვილნიუსელმა რომას საუსაიტისმა, ქალთა შორისაც ტრასის მასპინძელი რეგინა ჩისტიაკოვა პირველობდა. სხვა ჯილდოებთან ერთად ტრასის რეკორდის გაუმჯობესებისთვის პრიზად დაწესებული იყო ფერადი ტელევიზორი, მაგრამ მას მფლობელი, ალბათ, მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გამოუჩნდება — მორბენლებს ხელი უამინდობამ შეუშალა.

ევროპის ჩემპიონატის წინ

ევრპის საფეხბურთო ჩემპიონატის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ ფინალური ეტაპის თამაშებზე უკვე გაიყიდა 200 ათასი ბილეთი, უცხოეთის სპორტული დელეგაციებისა და ტურისტებისთვის კი ბილეთები გაიყიდება 1988 წლის 12 თებერვლიდან. სწორედ ამ დღეს ქ. დიუსელდორფში დანიშნულია ფინალის ჯგუფების დაკომპლექტება. როგორც ადრეც იყო აღნიშნული, წინასწარ ცნობილია გუნდები, რომლებიც ცალცალკე ჯგუფებში დაწყვილდებიან. ესენია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ინგლისი, იტალია, ჰოლანდია.

ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ დასავლეთ გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ფ. ნოიბერგერმა განაცხადა, რომ საფინალო ტურნირის მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს ზუსტად გრაფიკის შესაბამისად, აქ იგი გულისხმობს სტადიონების მზადყოფნას, ტურისტთა დაბინავებას, კავშირგაბმულობის საშუალებათა მოწესრიგებას, წესრიგის დაცვას და ა. შ.

ჰ. ნოიბერგერმა ოპტიმისტური განცხადება გააკეთა:

— მრავალი წელია ჩვენი ევროპული ჩემპიონატი მსოფლიო პირველობათა ჩრდილში იმყოფება, მაგრამ ამჟამად საერთო ინტერესი ამ შეჯიბრების მიმართ დიდად გაიზარდა, იგი პრაქტიკულად გაუსწორდა კიდეც მსოფლიო ჩემპიონატის. სტატუსს. გასაგებია, რომ სატელევიზიო აუდიტორია ევროპის პირველობას ნაკლები ეყოლება, ვიდრე ეს მექსიკის განვლილ მსოფლიო ჩემპიონატზე იყო, მაგრამ თუ წინასწარი განაცხადების მიხედვით ვიმსჯელებთ, იგი მაინც საკმაოდ სოლიდურია. განსხვავება არის საერთო მასშტაბებშიც, ვინაიდან მსოფლიო პირველობის ფინალურ ეტაპზე 52 მატჩი ჩატარდა, ახლა კი ევროპაში სულ 15 მატჩი გვექნება, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მაყურებლები ნამდვილ საფეხბურთო ფესტივალს იხილავენ.

12 თებერვალს დიუსელდორფში ფინალის მონაწილე 8 გუნდი წილისყრით 2 ჯგუფად გაიყოფა, გათამაშების ფორმულა იგივეა, რაც ოთხი წლის წინ იყო ესპანეთში, წინასწარი თამაშების შემდეგ თითოეული ჯგუფიდან 2 ნაკეთესი გუნდი გავა ნახევარფინალში.

ჯგუფური ტურნირები ჩატარდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 8 ქალაქში 10-18 ივნისს, ამ თამაშების კალენდარი უკვე შედგენილია. 21 ივნისს ჰამბურგში შედგება პირველი ნახევარფინალური მატჩი, ხოლო 22 ივნისს—შტუტგარტში მეორე ნახევარფინალი. ფინალური შეხვედრა 25 ივნისს გაიმართება მიუნხენში. აქ გამოვლინდება ევროპის ახალი ჩემპიონი, რაც შეეხება მესამე ადგილს, ისევე როგორც წინა გათამაშებაში, საგანგებო მატჩი საამისოდ არ შედგება.

ევროპის 1988 წლის ჩემპიონატის სალაღობო თილისმა კურდღლის ბაჭია „ბერნი“, რომელიც ფირმა „უოლტ დისნეიმ“ შექმნა, ამჟამად მთელს დასავლეთ გერმანიაში საღდება, გარდა ამისა, სუვენირებად დამზადდა მაისურები, სათამაშოები, სანთებლები და სხვა მსგავსნი, რომლებიც იყიდება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიც და ევროპის სხვა ქალაქებშიც.

ხუთი საუკეთესო

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ყოველკვირეული გამოცემა „ფუტბოლ-ხოკეის“ ტრადიციული გამოკითხვის შედეგად ჟურნალისტებმა ჩვენი ქვეყნის 1987 წლის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნიეს სსრ კავშირის ნაკრებისა და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ 23 წლის თავდამსხმელი ოლეგ პროტასოვი.

გთავაზობთ გასული წლის ხუთი საუკეთესო საბჭოთა ფეხბურთელის ვინაობას:

1. **ოლეგ პროტასოვი („დნეპრი“, დნეპროპეტროვსკი)** — 256 ქულა. 54 პირველი ადგილი, 37 — მეორე, 18 — მესამე.
2. **ალექსეი მიხაილიჩენკო („დინამო“, კიევი)** — 144 ქულა, 24 პირველი, 25 მეორე, 22 მესამე ადგილი.
3. **რინატ დასაევი („სპარტაკი“, მოსკოვი)** — 120 ქულა. 23 პირველი, 22 მეორე, 7 მესამე ადგილი.
4. **ფეოდორ ჩერენკოვი („სპარტაკი“, მოსკოვი)** — 116 ქულა. 24 პირველი, 15 მეორე, 14 მესამე ადგილი.
5. **ალექსანდრე ზავაროვი („დინამო“, კიევი)** — 54 ქულა. 8 პირველი, 10 მეორე, 10 მესამე ადგილი.

სამმაგი გამარჯვება

დამთავრდა თბილისის 1987 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში 1975 წელს დაბადებულ ჭაბუკებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო თხუთმეტმა საფეხბურთო კოლექტივმა, ქალაქის ჩემპიონის სახელი 23 ქულით თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის მესამე გუნდმა (მწვრთნელი ა. ჯინჭარაძე) მოიპოვა. II და III ადგილებზეც შესაბამისად ამავე სკოლის პირველი და მეორე გუნდები გავიდნენ.

სურათზე: 35-ე სკოლის გამარჯვებული გუნდი. დგანან — წურწუმია, ოდიშელიძე, ხუროშვილი, ბარამიძე, იოსელიანი, ცქიფურიშვილი, ლილუაშვილი, ყივიძე. ქვემო რიგში — ციციშვილი, კინწარიშვილი, ამაშუკელი, ფირცხალავა, დათუაშვილი, მერაბიშვილი, უარრაულაშვილი, ყვინთელანი, კაცობაშვილი და მწვრთნელი ა. ჯინჭარაძე.

მსოფლიო ჩემპიონატი ქალთა შორის

როგორც ფიფა-ს სამდივნო იუწყება, მსოფლიო ჩემპიონატი ქალთა შორის ფეხბურთში 1990 წელს ჩატარდება. ამ შეჯიბრების თავისებური „გენერალური რეპეტიცია“ იქნება ფეხბურთელ ქალთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელიც 1988 წელს ჩინეთში ჩატარდება.

100 წლისთავის აღსანიშნავად

იმასთან დაკავშირებით, რომ გასაგ ინგლისელები ზეიმობენ საფეხბურთო ლიგის დაარსების 100 წლისთავს, აპრილში ისინი მეტად საინტერესო საიუბილეო ტურნირის მოწყობას აპირებენ. მასში მონაწილეობას მიიღებს 16 კლუბი — ოთხ-ოთხი თითოეულ პროფესიული ლიგიდან.

გამარჯვებულთათვის ინგლისის ფეხბურთის ლიგის ხელმძღვანელობამ დიდი ფულადი ჯილდოები დააწესა.

დიეგო მარადონა: „გისურვებთ წარმატებებს!“

ბასული სეზონი ჩემთვის იღბლიანი იყო. მოხარული ვარ, რომ ჩემი არჩევანი იტალიური კლუბ „ნაპოლში“ გადასვლით, სადაც ამჟამად ვთამაშობ, გამართლდა, ჩვენ იტალიის ჩემპიონები გავხდით. წარმატებით თამაშობს „ნაპოლი“ ამ სეზონშიც.

საბჭოთა კავშირში ექვსჯერ მომიწია ჩამოსვლა. გულწრფელად შემიყვარდა მოსკოვი, ლენინგრადი, თბილისი, თუმცა, თქვენს ქვეყანას, თავისი ხასიათით, ჩემი მეუღლე, პატრიცია უფრო „შეეწყო“. ვაღიარებ, რომ იგი ჩემზე უკეთ იცნობს მოსკოვს, მის მუზეუმებსა და ღირსშესანიშნავ ადგილებს...

რა შემიძლია ვუსურვო საბჭოთა ფეხბურთს? უპირველეს ყოვლისა, წარმატებები იმ ძირეულ გარდაქმნებში, რომლებიც იქ ხდება; და კიდევ... მინდა ვუსურვო საქმისადმი უფრო პროფესიონალური მიდგომა. მჯერა, რომ საბჭოთა ფეხბურთი უახლოეს ხანში უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევს.

პირველი პროფესიული კლუბი

1989 წლიდან შვედური გუნდი „მალმიო“ პირველი იქნება ამ ქვეყანაში, რომელსაც პროფესიული კლუბის სტატუსი მიენიჭება. დღეს შვედური გუნდები სამოყვარულო კოლექტივებად ითვლებიან.



სპორტული იანვარი

საკავშირო რესპუბლიკური შეჯიბრებები

2-10. სამთოსათხილამურო სპორტი. საქართველოს პირველობა 1973-1976 წწ. დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის. **გუდაური, ბაკურიანი.**

3-8. სათხილამურო სპორტი, ფრისტაილი. საკავშირო შეჯიბრება 1970 წელს დაბადებულ და უმცროსი ასაკის გოგონათა და ჭაბუკთა შორის. **სკოლე.**

3-10. კალათბურთი. სსრ კავშირის პირველობა 1970-71 წწ. დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის. წინასწარი თამაშები. **ნერეკოვეცი, პანევეზისი.**

3-10. კალათბურთი. სსრ კავშირის პირველობა 1972-73 წწ. დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის. წინასწარი თამაშები. **პიატიგორსკი, გომელი.**

4-10 მაგიდის ჩოგბურთი. საქართველოს ღია პირველობა 1974 წ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **თბილისი.**

4-10. ხელბურთი. სსრ კავშირის პირველობა 1972-73 წწ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის. წინასწარი თამაშები. **თბილისი.**

4-10. ხელბურთი. სსრ კავშირის პირველობა 1970-71 წწ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის. წინასწარი თამაშები. **კრასნოდარი, რიგა, ტორასპოლი.**

4-10. ხელბურთი. სსრ კავშირის პირველობა 1970-71 წწ. დაბადებულ გოგონათა შორის. წინასწარი თამაშები. **ბაქო, მინსკი, ტირასპოლი.**

4-10. ხელბურთი. სსრ კავშირის პირველობა 1972-73 წწ. დაბადებულ გოგონათა შორის. წინასწარი თამაშები. **კოვნო, პანევეზისი, ალმა-ათა.**

5-10. აკრობატიკა. საკავშირო შეჯიბრება 1970 წელს დაბადებულ და უმცროსი ასაკის გოგონათა და ჭაბუკთა შორის. **თბილისი.**

5-18. ჭადრაკი. სსრ კავშირის პირველობა 1970-1974 წწ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ივანო-ფრანკოვსკი.**

5-18. ჭადრაკი. სსრ კავშირის პირველობა 1970-1974 წწ. დაბადებულ გოგონათა შორის. **პრილუკი.**

6-11. ველოსპორტი (ტრეკი). საკავშირო შეჯიბრება მოზრდილთა და 1970-1972 წწ. დაბადებულ იუნიორთა შორის 6-დღიან ჯგუფურ რბოლაში. **მოსკოვი.**

7-10. კალათბურთი. სსრ კავშირის ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდებს შორის. II წრე, VI ტური. **დონეცკი.**

8-10. მძლეოსნობა. საქართველოს ჩემპიონატი და სსრ კავშირის თასის გათამაშება (დარბაზში) 1970 წელს დაბადებულ და უფროსი ასაკის სპორტსმენთა შორის. **თბილისი.**

8-10. ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა. საკავშირო შეჯიბრება 1970-1973 წწ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ვორონეჟი.**

8-14. ფრენბურთი. სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატი. **ლენინგრადი.**

10-14. ძიუდო. საქართველოს ჩემპიონატი (ვაჟები). **გორი.**

11-17. ჩოგბურთი. საკავშირო ტურნირი „ესტონეთის თასი". **ტალინი.**

12-17. თანამედროვე ხუთჭიდი. საქართველოს თასის გათამაშება. **თბილისი.**

12-17. მხატვრული ტანვარჯიში. სსრ კავშირის ჩემპიონატი და საკავშირო შეჯიბრება ჯგუფურ ვარჯიშებში. **ბაქო.**

13-18. საგზატკეცილო ველოსრბოლა. საქართველოს ზამთრის ღია ჩემპიონატი და პირველობა ახალგაზრდებს და 1969-1972 წწ. დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის. **გუდაუთა, გაგრა.**

13-20. სამთოსათხილამურო სპორტი. საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებები. **ნიშგანი.**

14-17. ნიჩბოსნობა (ბაიდარა, კანოე). საკავშირო შეჯიბრება 1970-71 წწ. დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის. **ბალი.**

14-17. ველოსპორტი (ტრეკი). საკავშირო შეჯიბრება სპრინტში მოზრდილთა და 1970-1972 წწ. დაბადებულ გოგონათა და იუნიორთა შორის. **ლვოვი.**

14-17. ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა. საკავშირო შეჯიბრება 1968 წელს დაბადებულ და უმცროსი ასაკის სპორტსმენთა შორის. **სკოლე.**

15-17. მძლეოსნობა. საქართველოს პირველობა 1969-1972 წწ. დაბადებულ გოგონათა, ჭაბუკთა და იუნიორთა შორის. **თბილისი.**

15-18. ველოსპორტი (ტრეკი). საკავშირო შეჯიბრება მოზრდილთა და 1970-1972 წწ. დაბადებულ იუნიორთა შორის. **მოსკოვი.**

15-18. საგზატკეცილო ველოსრბოლა. საკავშირო შეჯიბრება ქალთა შორის. **კურგანი, ტუბე.**

15-20. წყალში ხტომა. საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი. **თბილისი.**

15-23. აეროსნობა. საკავშირო შეჯიბრება. **სოჭი.**

16-19. მაგიდის ჩოგბურთი. სსრ კავშირის ჩემპიონატი, ზონალური შეჯიბრება (ვაჟები, ქალები). **ბაქო, ოდესა, ტალინი, ტაშკენტი.**

17-21. სათხილამურო რბოლა. საკავშირო შეჯიბრება დაბა ბაკურიანის პრიზზე. **ბაკურიანი.**

18-23. წყალბურთი. სსრ კავშირის ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. I ტურის I წრე. **ალმა-ათა, ხარკოვი.**

19-22. აკრობატიკა. საქართველოს ჩემპიონატი. **თბილისი.**

19-24. კლასიკური ჭიდაობა. სსრ კავშირის ჩემპიონატი. **თბილისი.**

19-24. ციგაობა. საქართველოს პირველობა, ჭაბუკთა II რესპუბლიკური სპორტული თამაშების პროგრამით. **სვერდლოვსკი.**

19-24. ფიგურული ციგურაობა. საკავშირო შეჯიბრება „ოლიმპიური იმედი". **დნეპროპეტროვსკი.**

20-23. ბატუტზე ხტომა. საქართველოს თასის გათამაშება. **თბილისი.**

20-23. ველოსპორტი (ტრეკი). საკავშირო შეჯიბრება მოზრდილთა და 1970-1972 წწ. დაბადებულ გოგონათა და იუნიორთა შორის ვიტში და სპრინტში. **ლვოვი.**

20-24. ციგაობა ბუნებრივ ტრასაზე. სსრ კავშირის პირველობა 1968-69 წწ. დაბადებულ გოგონათა და იუნიორთა შორის. **ალმა-ათა.**

20-24. ფარიკაობა. საკავშირო შეჯიბრება „მოსკოვის ხმალი" — I ტურნირი. **მოსკოვი.**

20-24. ფარიკაობა. საკავშირო შეჯიბრება „ტალინის მახვილი". დაშნა. I ტურნირი. **ტალინი.**

21-24. აკადემიური ნიჩბოსნობა. რესპუბლიკური შეჯიბრება. **ფოთი.**

21-25. სპორტული ორიენტირება. საკავშირო შეჯიბრება. **ტულა.**

21-31. კრივი. სსრ კავშირის ჩემპიონატი. **ტაშკენტი.**

22-24. მძლეოსნობა. სსრ კავშირის თასის გათამაშება დარბაზში. ნახევარფინალური შეჯიბრება. **ბაქო.**

22-25. მაგიდის ჩოგბურთი. საქართველოს პირველობა, I ტური. I ლიგა — **თბილისი,** II ლიგა — **აბაშა,** III ლიგა — **ვანი.**

22-25. ხაშბო. საქართველოს ჩემპიონატი. **კახეთი.**

23-24. ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა. საქართველო პირველობა, ჭაბუკთა II რესპუბლიკური სპორტული თამაშების პროგრამით. **ბაკურიანი.**

23-28. საგზატკეცილო ველოსრბოლა. საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი — ინდივიდუალურ, ჯგუფურ და გუნდურ რბოლებში. **გუდაუთა, გაგრა.**

24-30. ველოსპორტი (ტრეკი). სსრ კავშირის ჩემპიონატი და პირველობა მოზრდილთა და 1970-1972 წწ. დაბადებულ გოგონათა და იუნიორთა შორის. **მოსკოვი.**

25-31. ციგაობა. სსრ კავშირის პირველობა 1972-73 წწ. დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის. **ვოშგოროდი.**

25-31. ჩოგბურთი. სომხეთის ღია ჩემპიონატი. **ერევანი.**

25-31. ჩოგბურთი. ტაჯიკეთის ღია ჩემპიონატი. **დუშანბე.**

25-31. ჩოგბურთი. სსრ კავშირის ჩემპიონატი (დარბაზში), I ეტაპი. **კიშინიოვი.**

26-31. ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა. სსრ კავშირის ჩემპიონატი. **სკოლე.**

26.I-8.II. ჭადრაკი. რესპუბლიკური მასობრივი შესარჩევი შეჯიბრება ვაჟებს შორის. **სამტრედია.**

26. I-18. II. ჭადრაკი. სსრ კავშირის პირველობა ახალგაზრდა ოსტატთა და იუნიორთა (1962-1970 წწ. დაბადებულ) შორის. **ვილნიუსი.**

27-30. ძალოსნობა. საქართველოს პირადგუნდური პირველობა 1968 წელს დაბადებულ და უმცროსი ასაკის იუნიორთა შორის. **ცხინვალი.**

27-31. სპორტული ტანვარჯიში. სამატჩო შეხვედრა, საქართველო — ერევანი. **ერევანი.**

27 I-2. II. წყალბურთი. საქართველოს პირველობა 1970-1971 წწ. დაბადებულ სპორტსმენთა შორის. **თბილისი.**

28-31. ნიჩბოსნობა (ბაიდარა, კანოე). საქართველოს თასის გათამაშება. **ფოთი.**

28.I-16.II. ჭადრაკი. საქართველოს ჩემპიონატი (ქალები). **ახალციხე.**

28-1-16-II. ჭადრაკი. საქართველოს ჩემპიონატი ქალთა შორის. ნახევარფინალი. **ვანი.**

28-31. კალათბურთი. სსრ კავშირის ჩემპიონატი ქალთა გუნდებს შორის. I ლიგა, II წრე, VI ტური. **ხიმფერეოპოლი.**

28.I-1.II მაგიდის ჩოგბურთი. სსრ კავშირის ჩემპიონატი, ფინალური შეჯიბრება. **კაუნასი.**

28-I-2.II. წყალბურთი. სსრ კავშირის ჩემპიონატი I ლიგის გუნდებს შორის. I წრე, I ტური. **კაუნასი.**

29-31. წყალსათხილამურო სპორტი. საკავშირო შეჯიბრება, ფიგურულ სრიალში. **მოსკოვი.**

29-31. თავისუფალი ჭიდაობა. თბილისის საერთაშორისო ტურნირი. **თბილისი.**

29-31. მძლეოსნობა. სსრ კავშირის პირველობა 1971-72 წწ. დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის. **კიშინიოვი.**

29.I-3. II. ტუვიის სროლა. საკავშირო შეჯიბრება (დარბაზში). **ლვოვი.**

ლენდლის 5 „გრან-პრი"

შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მიღწევები ჩოგბურთის ისტორიაში არავის ჰქონია: ივან ლენდლმა „მასტერსის" უაღრესად პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში ზედიზედ მეხუთედ გაიმარჯვა, ზედიზედ მეხუთედ მოიპოვა „ნაბისკო გრან-პრი".

თუმცა სჯობს ჯერ „მასტერსის" ყველა გამარჯვებული ჩამოვთვალოთ. ეს საერთაშორისო ტურნირი 1970 წლიდან მოყოლებული, როგორც წესი, დეკემბერში ეწყობა წლის განმავლობაში „გრან-პრის" ტურნირებში საგანგებოდ, საგულდაგულოდ შერჩეული ჩოგბურთის ვარსკვლავების მონაწილეობით.

1970 წ. ტოკიო — სტენ სმითი (აშშ); 1971, პარიზი—ილიე ნასტასე (რუმინეთი); 1972, ბარსელონა — ნასტასე; 1973, ბოსტონი — ნასტასე; 1974, მელბურნი— გილერმო ვილასი (არგენტინა); 1975, სტოკჰოლმი — ნასტასე; 1976, ჰიუსტონი — მანუელ ორანტესი (ესპანეთი); 1977, ნიუ-იორკი (ამ დროიდან მოყოლებული, შეჯიბრება მხოლოდ ნიუ-იორკში ტარდება) — ჯიმი კონორსი (აშშ); 1978 — ჯონ მაკინროუ (აშშ); 1979 — მაკინროუ; 1980 — მაკინროუ; 1981 — ბიორნ ბორგი (შვეცია); 1982 — ბორგი, 1983 — ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია); 1984 — ლენდლი; 1985 — ლენდლი; 1986 — ლენდლი; 1987 — ლენდლი.

ამრიგად, წლევანდელ ტურნირში გამარჯვებით, ლენდლმა წაასწრო ნასტასეს, რომელმაც „მასტერსის" შეჯიბრებაში ოთხჯერ გაიმარჯვა, აქედან სამჯერ — ზედიზედ. ლენდლი წელსაც შეჯიბრების უპირველეს ფავორიტად ითვლებოდა. მან თანმიმდევრულად დაამარცხა ბრედ ჯილბერტი (აშშ) — 6:2, 6:2, კონორსი — 4:3 (ამერიკელი ჩოგბურთელის ტრავმის გამო მატჩი ნაადრევად შეწყდა და კონორსს წაგება ჩაეთვალა), ბორის ბეკერი (გფრ) — 6:4, 6:7, 6:3. ნახევარფინალში ლენდლი კვლავ ჯილბერტს შეხვდა — 6:2, 6:4, ფინალში კი მატს ვილანდერი (შვეცია) დაამარცხა — 6:2, 6:2, 6:3.

„მასტერსის" ტურნირში გამარჯვებისათვის ლენდლმა მიიღო 210 ათასი დოლარი, „ნაბისკო გრან პრის" მოგებისთვის — 800 ათასი დოლარი, წლის განმავლობაში სხვადასხვა ტურნირებში გამარჯვებისთვის — 2 მილიონ 3656 დოლარი. თავის კარიერის მანძილზე კი ლენდლმა ჯილდოების სახით მიიღო 12 მილიონზე მეტი დოლარი.

ახლა ვნახოთ, ქულათა რა მაჩვენებლებით დამთავრეს 1987 წლის საჩოგბურთო სეზონი „ნაბისკო გრან პრისათვის" მებრძოლმა სპორტსმენებმა.

1. ლენდლი — 4779; 2. სტეფან ედბერგი (შვეცია) — 4354; 3. პატ კილანდერი — 3519; 4. მატსი ვილანდერი (ჩეხოსლოვაკია) — 2852; 5. ბეკერი — 2368; 6. კონორსი — 2295; 7. პატ კეში (ავსტრალია) — 2189; 8. ჯილბერტი — 1941; 9. ტიმ მაიოტე (აშშ) — 1815; 10. ანდრეს გომესი (ეკვადორი) — 1792; 11. იანიკ ნოა (საფრანგეთი) — 1533; 12. ემილიო სანჩესი (ესპანეთი) — 1482; 13. ანდრეს იარიდი (შვეცია) — 1465; 14. მარტინ ხაიტე (არგენტინა) — 1446; 15. მაკინროუ — 1295; 16. სლობოდან ჟივოინოვიჩი (იუგოსლავია) — 1110 ქულა.

გადავხედოთ მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელების მოკლე სადარბაზო ბარათებს, მათ წლევანდელ მიღწევებს.

1. ივან ლენდლი. დაიბადა 1960 წ., 7 მარტს ოსტრავაში (ჩეხოსლოვაკია), 188 სმ სიმაღლის, 79 კგ. ძირითადი მიღწევები— 1987 წელს გაიმარჯვა ჰამბურგში, „როლან გაროს" ტურნირში (საფრანგეთის ღია ჩემპიონატი), ვაშინგტონში, მონრეალში, აშშ-ს ღია ჩემპიონატში, სიდნეიში, უემბლიში (ნუ ავურეთ უიმბლდონში). ითამაშა უიმბლდონისა და ტოკიოს ტურნირების ფინალური მატჩები. № 1 ჩოგბურთელია ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის „რანგ-ლისტით".

2. სტეფან ედბერგი. დაიბადა 1966 წ 17 ივნვარს, ვასტეველში (შვეცია). 188 სმ, 72 კგ. № 2 ჩოგბურთელი მსოფლიო „რანგ-ლისტით". წლეულს გაიმარჯვა ავსტრალიის ღია ჩემპიონატში, მემფისში (აშშ), როტერდამში, ორჯერ — ტოკიოში, ცინცინატში (აშშ) და სტოკჰოლმში. ითამაშა 4 წლევანდელი დიდი საერთაშორისო ტურნირის ფინალურ მატჩში.

3. მატს ვილანდერი. დაიბადა 1964 წ 22 აგვისტოს, ვაქსიში (შვეცია). 181 სმ, 77 კგ. № 3 ჩოგბურთელი მსოფლიო „რანგ-ლისტით". წელს გაიმარჯვა ბრიუსელის, მონტე-კარლოს, რომის, ბოსტონისა და ინდიანაპოლისის (აშშ) საერთაშორისო ტურნირებში, „როლან გაროს", აშშ-ს ღია ჩემპიონატისა და ბარსელონის ტურნირების ფინალისტი.

4. ჯიმი კონორსი. დაიბადა 1952 წ. 2 მაისს, ბელევილში (ილინოისის შტატი, აშშ). 178 სმ, 69 კგ. № 4 ჩოგბურთელი მსოფლიო „რანგ-ლისტით". წლეულს იგი თამაშობდა მემფისის, ორლანდის (აშშ) და „ქუინზ კლაბის" (ინგლისი) საერთაშორისო ტურნირების ფინალში.

5. ბორის ბეკერი. დაიბადა 1967 წლის 22 ნოემბერს, ლაიმენში (გფრ) 188 სმ, 79 კგ. № 5 ჩოგბურთელი მსოფლიო „რანგ-ლისტით". წლეულს პირველი პრიზი მოიპოვა ინდიან უელსში (აშშ), მილანსა და „ქუინზ კლაბის" ტურნირებში, იყო ცინცინატის საერთაშორისო ტურნირის ფინალისტი.

6. მილოსლავ მეჩირი. დაიბადა 1964 წ 19 მაისს, ბოინიცაში (ჩეხოსლოვაკია). 191 სმ, 82 კგ. № 6 ჩოგბურთელი მსოფლიო „რანგ-ლისტით". წლეულს გაიმარჯვა ოკლენდში (ახალი ზელანდია), სიდნეიში, დალასში, შტუტგარტსა და ჰილვერსუმში (ჰოლანდია). ჰამბურგისა და მილანის ტურნირების ფინალისტი.

7. პატ კეში. დაიბადა 1965 წ 27 მაისს, მელბურნში. 180 სმ, 77 კგ. № 7 ჩოგბურთელი მსოფლიო „რანგ-ლისტით". წლეულს გაიმარჯვა სეზონის ყველაზე უფრო პრესტიჟულ, უიმბლდონის ტურნირში, აგრეთვე ნანსიში (საფრანგეთი). ავსტრალიის ღია ჩემპიონატისა და სიდნეის ტურნირის ფინალისტი.

მოამზადა ბიბი თორელმა.

„სპორტპროგნოზი"

51-ე ტირაჟის შედეგები (19-20 დეკემბერი)

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის" 51-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1987 წლის 19-20 დეკემბერს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 7.468.351 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (28) მოგებამ შეადგინა 4.000 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (1.130) — 198 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (17.559) — 44 მანეთი.

51-ე ტირაჟის მოგებათა გაცემა იწყარშოებს 1988 წლის 14 იანვრიდან 14 თებერვლამდე.

„სპორტპროგნოზი"

3. გრანატკინის მემორიალი ფეხბურთში. ქ. მოსკოვი

პროგნოზი

1. გფრ — საფრანგეთი	9.I	40	20	40
2. სსრკ-1 — ჩინეთი	9.I	50	30	20
სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში (უმაღლესი ლიგა)				
3. „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „დინამო" (მოსკოვი) ქ. მოსკოვი	9.I	40	20	40
4. „დინამო" (თბილისი) — რიგა (მინსკი) ქ. დონეცკი	9.I	70	20	10
5. „შახტიორი" (დონეცკი) — ვეფ (რიგა) ქ. დონეცკი	9.I	40	20	40
6. „სპარტაკი" (ლენინგრადი) — ცსკა ქ. მოსკოვი	10.I	20	10	70
7. „დინამო" (მოსკოვი) — რშუსმ „კალევი" (ტალინი) ქ. მოსკოვი	10.I	60	20	20
8. „სტროიტელი" (კიევი) — „სტატიბა" (ვილნიუსი) ქ. კაუნასი	10.I	60	20	20
9. „დინამო" (თბილისი) — ვეფ (რიგა) ქ. დონეცკი	10.I	60	20	20
სსრ კავშირის ჩემპიონატი პაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)				
10. „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ტორპედო" (გორკი)	10.I	50	30	20
11. „დინამო" (რიგა) — „ტრაქტორი" (ჩელიაბინსკი)	10.I	60	20	20
3. გრანატკინის მემორიალი ფეხბურთში. ქ. მოსკოვი				
12. აშშ — გფრ	11.I	10	20	70
13. საფრანგეთი — სსრკ-1	11.I	20	30	50

შენიშვნა: კალათბურთში მხედველობაში მიიღება ძირითად დროში ნაჩვენები შედეგი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელი",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს სკპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ზოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05106

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.